



KA

ბავშვები, რომლებიც ითხოვენ საერთაშორისო დაცვას

ინფორმაცია გამცილებლის/მეთვალყურის
არმყოფი ბავშვებისათვის, რომლებიც ითხოვენ
საერთაშორისო დაცვას ევროკავშირის რეგლამენტის
N 604/2013 4 მუხლით

შენ გადმოგეცა ეს ბროშურა იმიტომ, რომ გესაჭიროებათ დაცვა, და განაცხადე, რომ შენი ასაკი ნაკლებია 18 წელზე. ითვლება, რომ ხარ ბავშვი, თუ შენი ასაკი 18 წელზე ნაკლებია. ინსტიტუციის წარმომადგენლები შენ მოგიხსენიებენ როგორც „არასრულწლოვანი“; ეს იგივეა რაც ბავშვი. ინსტიტუციის წარმომადგენელი - ეს არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმ თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შენთვის დაცვის შეფარდებას.

დაცვის თხოვნას იმიტომ, რომ გემინიათ სამშობლოში ყოფნა, ეწოდება თავშესაფრის თხოვნა. თავშესაფარი ეს არის ადგილი სადაც შენ მიიღებ დაცვას და უსაფრთხოებას.

სამართლებრივად ინსტიტუციისთვის ოფიციალურად თავშესაფრის თხოვნას უწოდებენ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნას. პიროვნებას, რომელიც ითხოვს დაცვას უწოდებენ მთხოვნელს. ხშირად შენ შეიძლება მოგიხსენიონ როგორც თავშესაფრის მომთხოვნი.

შენი მშობლები უნდა იყვნენ შენთან, მაგრამ თუ ერთად არ ხართ ან დაგაშორეს ერთმანეთს მგზავრობისას, შენ ითვლებით „არასრულწლოვნად გამცილებლის/მეთვალყურის გარეშე“.

ამ შემთხვევაში ჩვენ მოგიჩენთ „წარმომადგენელს“, სრულწლოვანს, რომელიც დახმარებას გაგიწევს პროცედურის მიმდინარეობისას. ის დაგეხმარება თხოვნის მომზადებაში და იქნება შენთან ერთად ინსტიტუციის თანამშრომლებთან საუბრის დროს. შენ წარმომადგენელთან შეგიძლიათ ისაუბრო შენს პრობლემებსა და შიშებზე. წარმომადგენელი იზრუნებს იმაზე, რომ პირველ რიგში მხედველობაში მიღებული იქნას შენი ინტერესები ანუ შენი მოთხოვნები, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, სოციალური განვითარება. ასევე წარმომადგენელი მიიღებს მხედველობაში შენი ოჯახთან გაერთიანების შესაძლებლობას.

ეს ბროშურა საინფორმაციო ხასიათისაა. მისი მიზანია მიაწოდოს საერთაშორისო დაცვის მომთხოვნს შესატყვისი ინფორმაცია დუბლინის პროცედურაზე. ბროშურა არ ქმნის და არ იძლევა უფლებებს, ის სამართლებრივად არ ადგენს და არ ავალდებულებს. დუბლინის პროცედურის თანახმად სახელმწიფოს და პიროვნების უფლებები და მოვალეობები დადგენილია რეგლამენტში N 604/2013.

©European Union 2014

Reproduction is authorised. For any use or reproduction of individual photos, permission must be sought directly from the copyright holders.



დუბლინის ქვეყნები არის ევროკავშირის წევრი ყველა 28 ქვეყანა (ირლანდია (IE), ავსტრია (AT), ბელგია (BE), ბულგარეთი (BG), ჩეხეთი (CZ), დანია (DK), ესტონეთი (EE), საბერძნეთი (EL), ესპანეთი (ES), იტალია (IT), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეო (UK), კვიპროსი (CY), ხორვატია (HR), ლატვია (LV), ლიტვა (LT), პოლონეთი (PL), ლუქსემბურგი (LU), მალტა (MT), ჰოლანდია (NL), პორტუგალია (PT), საფრანგეთი (FR), რუმინეთი (RO), სლოვაკეთი (SK), სლოვენია (SL), ფინეთი (FI), შვედეთი (SE), უნგრეთი (HU), გერმანია (DE)) და დუბლინის რეგლამენტთან ასოცირებული 4 ქვეყანა (ისლანდია (IS), ლიხტენშტეინი (LI), ნორვეგია (NO), და შვეიცარია (CH)).



თუ შენთვის რაიმე გაუგებარია, მოთხოვე წარმომადგენელს ან ინსტიტუციის ხელმძღვანელობას დახმარება!

შენ აქ ითხოვ თავშესაფარს, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს თხოვნა განიხილოს არა ამ ქვეყანამ, არამედ რომელიმე სხვამ.

მხოლოდ ერთ ქვეყანას შეუძლია იყოს პასუხისმგებელი შენი თხოვნის განხილვაზე. ეს დადგენილია კანონით, რომელსაც ეწოდება „დუბლინის რეგლამენტი“. ამ კანონის მიხედვით უნდა დავადგინოთ: ჩვენ განვიხილავთ თხოვნას თავშესაფარის შესახებ თუ სხვა ქვეყანა. ამას ჩვენ ვუწოდებთ „დუბლინის პროცედურას“.

ეს კანონი მოქმედებს გეოგრაფიულ რეგიონში რომელიც მოიცავს 32 ქვეყანას¹⁾. ამ ბროშურაში ეს 32 ქვეყანა მოიხსენიება როგორც „დუბლინის რეგლამენტის ქვეყნები“.

არ გაექვე წარმომადგენელს და არ გაიქვე სხვა ქვეყანაში. ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება გითხრას რომ ეს არის შენთვის საუკეთესო ვარიანტი. თუ ვინმემ გირჩია გაქცევა ან შემოგთავაზა ერთად წასვლა სხვა ქვეყანაში, დაუყოვნებლივ შეატყობინე ამის შესახებ შენს წარმომადგენელს ან ინსტიტუციის ხელმძღვანელობას.

სწრაფად შეგვატყობინე იმის შესახებ რომ:

- ხარ მარტო და ფიქრობ, რომ დედა, მამა, ძმა, და, დეიდა/მამიდა²⁾, ან ბიძა³⁾, ბებია ან ბაბუა შესაძლებელია იყოს 32-დან ერთ ერთ იმ დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, რომელიც გამოსახულია 3 გვერდზე მოყვანილ რუქაზე;
- თუ ეს ასეა, მაშინ გინდა თუ არა მათთან ერთად ცხოვრება;
- შენ ამ ქვეყანაში ჩამოხვედი ვიღაცასთან ერთად და თუ ეს ასეა, ვინ არის ის ადამიანი;
- უკვე იყავი ზემოთ ჩამოთვლილი „დუბლინის რეგლამენტის“ 32 ქვეყნიდან ერთ ერთში;
- შენი თითის ანაბეჭდები აღებულია „დუბლინის რეგლამენტის“ რომელიმე ქვეყანაში. თითის ანაბეჭდები ეს არის შენი თითების გამოსახულება, რომლითაც შესაძლებელია შენი პიროვნების დადგენა;
- შენ მოთხოვნილი გაქვს თავშესაფარი „დუბლინის რეგლამენტის“ სხვა ქვეყანაში.

ძალიან მნიშველოვანია, რომ შენ ითანამშრომლო ხელმძღვანელობასთან და ყოველთვის თქვა სიმართლე.

დუბლინის სისტემა დაგეხმარება, თუ შენ წარმოადგენ დაცვის შესახებ თხოვნას და იმყოფები გამცილებელი/მეთვალყურის გარეშე.

-
- 1) 3 გვერდზე არის რუქა, რომელზეც ასახულია ეს ქვეყნები და მათი ადგილმდებარეობა
 - 2) დედის და, მამის და
 - 3) დედი ძმა, მამის ძმა

დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში დავიწყებთ შენი მშობლებისა და ნათესავების ძეგლს თუ გვექნება საკმარისი ინფორმაცია მათ შესახებ. თუ გაგვიმართლებს და ვიპოვით მათ, მაშინ შევეცდებით გაგამგზავროთ იმ ქვეყანაში სადაც იმყოფებიან შენი მშობლები ან ნათესავები. ის ქვეყანა იქნება შენი დაცვის თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი.

თუ ხარ მარტო და დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში არ არის შენი ოჯახის წევრი ან ნათესავი, მაშინ დიდი ალბათობაა იმის, რომ შენი თხოვნა ამ ქვეყანაში იქნას განხილული.

შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ შენი თხოვნა განვიხილოთ აქ. იმისდა მიუხედავად, რომ ამაზე, სამართლებრივი აქტის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი შესაძლოა იყოს სხვა ქვეყანა. ეს შესაძლებელია ჰუმანიტარული, ოჯახური ან კულტურული მიზეზების გამო.

პროცედურის დროს ჩვენ ყოველთვის ვიხელმძღვანელებთ შენი ინტერესებით და არ გაგიშვებთ იმ ქვეყანაში რომელზეც გვეცოდინება, რომ იქ დაირღვევა შენი ადამიანის უფლებები.

რას ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ შენი ინტერესებით? ეს ნიშნავს, რომ:

- უნდა შევამოწმოთ, არის თუ არა შესაძლებელი შენი და შენი ოჯახის წევრების შეერთება ერთ ქვეყანაში;
- დავრწმუნდეთ, რომ ხარ დაცული იმ ადამიანებისგან, რომლებიც შეიძლება ცუდად მოგექცენ ან რაიმე ზიანი მოგაყენონ;
- დავრწმუნდეთ, რომ გექნებათ საშუალება აღიზარდო უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში, რომ გქონდეს საკვები და თავშესაფარი და რომ დაკმაყოფილებულ იქნას სოციალური განვითარების მოთხოვნები;
- მივიღოთ მხედველობაში შენი აზრი, მაგალითად გინდა თუ არა ნათესავებთან ერთად ცხოვრება.



შენი ასაკი

18 წელზე მეტი ასაკის პიროვნება არის სრულწლოვანი. ისინი ექვემდებარებიან სხვა წესს, ბავშვები და მოზარდები (არასრულწლოვნები) სხვას.

თხოვნაა სიმართლე თქვა შენი ასაკის შესახებ.

თუ თან გაქვს დოკუმენტი, რომელზეც აღნიშნულია შენი ასაკი, აჩვენე ის ინსტიტუციის წარმომადგენელს. თუ ინსტიტუციის წარმომადგენელს ეჭვი შეეპარა შენს ასაკში, შესაძლებელია, რომ შენ შეგამოწმოს ექიმმა, რათა დადგინდეს შენი ასაკი. შენ და შენმა წარმომადგენელმა თავიდან თანხმობა უნდა განაცხადოთ ასეთ შემოწმებაზე.

შემდეგში ჩვენ შევეცდებით გაგცეთ პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც შესაძლებელია გაგიჩნდეს დუბლინის პროცედურასთან დაკავშირებით. რითი შეიძლება ეს დაგეხმაროს და რას უნდა მოელოდოდ მისგან:

რა არის თითის ანაბეჭდები, რატომ იღებენ მას?

თუ შენ წარმოადგინე თხოვნა თავშესაფრის შესახებ, და შენი ასაკი არის 14 წელი და მეტი, მაშინ შენ აგიღებენ თითის ანაბეჭდებს, რომელიც შემდეგ გადაცემული იქნება თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზაში სახელწოდებით „ ევროდაკი“. ითანამშრომლე ამ პროცედურის შესრულებისას, რადგან სამართლებრივი აქტის მოთხოვნებით, ყველა თავშესაფრის მოთხოვნელისგან უნდა იქნას აღებული თითის ანაბეჭდები.

თითის ანაბეჭდები შემოწმებული იქნება იმის გასარკვევად მოითხოვე თუ არა ადრე თავშესაფარი და იმის გასაგებად ადრე აღებული იქნა თუ არა შენი თითის ანაბეჭდები საზღვარზე. თუ იქნა დადგენილი, რომ შენ ადრე გქონდა წარმოდგენილი მოთხოვნა თავშესაფრის შესახებ სხვა დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, მაშინ შესაძლებელია შენ გადაგცენ იმ ქვეყანას. ის ქვეყანა იქნება შენი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი.

შენი თითის ანაბეჭდები იქნება შენახული 10 წელი; 10 წლის შემდეგ ის ავტომატურად წაიშლება. თუ შენი თხოვნა დაცვის შესახებ დაკმაყოფილდება, თითის ანაბეჭდები ბაზაში დარჩება, სანამ ავტომატურად არ წაიშლება. იმ შემთხვევაში თუ შენ გახდი რომელიმე დუბლინის რეგლამენტის წევრი ქვეყნის მოქალაქე, შენი თითის ანაბეჭდები წაიშლება. თითის ანაბეჭდები და მონაცემები სქესის შესახებ შენახული და დაცული იქნება „ევროდაკი“-ში. შენს სახელს, გვარს, სურათს, დაბადების თარიღს და მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას „ევროდაკი“-ს მონაცემთა ბაზაში არ ვაგზავნით, თუმცა ისინი შეიძლება დაცული იქნას ნაციონალურ მონაცემთა ბაზაში. „ევროდაკი“-ში დაცული მონაცემები არ იქნება მიწოდებული არც ერთი სისტემისთვის, რომელიც არ მიეკუთვნება დუბლინის სისტემის ქვეყანას და ორგანიზაციას.





2015 წლის 20 ივლისიდან შენი თითის ანაბეჭდები შესაძლოა მოიძიოს ისეთმა ინსტიტუციამ, როგორც არის პოლიცია და ევროპის პოლიციის ბიურო (ევროპოლი), რომელიც შეძლებს მოითხოვოს მიდგომა ევროდაკის მონაცემთა ბაზასთან, რათა დაადგინოს და აღუკვეთოს გზა მძიმე დანაშაულსა და ტერორიზმს.

შენი მდგომარეობის შესახებ რომელი ინფორმაციის მიწოდებაა სავალდებულო?

შენ შესაძლებელია გაგესაუბრონ იმ მიზნით, რათა დადგინდეს, თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი შენი თავშესაფრის თხოვნის განხილვაზე. გასაუბრების დროს ჩვენი წარმომადგენელი შენ განგიმარტავს დუბლინის პროცედურას და შეეცდებოდა გაარკვიოს, შესაძლებელია თუ არა შენი შენს ოჯახთან შეერთება სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში.

თუ იცი, რომ დედა, მამა, ძმა, და, ნათესავი იმყოფება რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში, არ დაგავიწყდეს უთხრა ამის შესახებ პიროვნებას, რომელიც შენ გაგესაუბრება. წარმოგვიდგინე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია (სახელი, მისამართი თელეფონის ნომერი და ასე შემდეგ), რათა გაგვიადვილდეს შენი ოჯახის მოძებნა.

გასაუბრების დროს შენ შეიძლება გკითხონ იყავი თუ არა სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში. გთხოვთ, რომ თქვათ სიმართლე.

შენი წარმომადგენელი შესაძლებელია ესწრებოდეს შენს საუბარს, მოგეხმაროს, მხარი დაგიჭიროს და გააკეთოს ის, რაც შენთვის არის უკეთესი. თუ არ გინდა, რომ შენი წარმომადგენელი დაესწროს საუბარს, მაშინ ამის შესახებ შეატყობინე ჩვენი ინსტიტუციის წარმომადგენელს.

გასაუბრების დაწყებამდე შენ აგისხნიან პროცედურას და შენს უფლებებს. თუ იქნება ისეთი რამ რასაც ვერ გაიგებ ან გაგიჩნდება კითხვა, იკითხე!

შენ გაქვს უფლება გასაუბრებაზე, რომელიც არის შენი თხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

შენ გაგესაუბრებიან იმ ენაზე, რომელიც შენთვის კარგადაა გასაგები. თუ არ გესმის საუბრის ენა, მაშინ შეგიძლია დასახმარებლად მოითხოვო თარჯიმანი. თარჯიმანი ვალდებულია თარგმნოს მხოლოდ ის, რასაც იმახი შენ და შენი მოსაუბრე. თარჯიმანს არ აქვს უფლება დაამატოს და გადმოცეს თავისი პირადი აზრი. თუ არ გესმის თარჯიმნის, მაშინ ვალდებული ხარ ამის შესახებ გვითხრა ან ჩვენ ან შენს წარმომადგენელს.

ეს საუბარი იქნება კონფიდენციალური. ეს ნიშნავს, რომ არანაირი შენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იქნება გადაცემული პიროვნებებისა და ინსტიტუციებისთვის შენს ქვეყანაში, სადაც შესაძლოა რაიმე ზიანი მოგადგეს შენ ან/და იქ მყოფი შენი ოჯახის წევრებს.

მნიშვნელოვანია, რომ შენ და შენმა წარმომადგენელმა იცოდეთ დუბლინის პროცედურის ვადები!

რამდენ ხანში გავიგებ აქ დავრჩები თუ საჭირო იქნება სხვა ქვეყანაში წასვლა?

რა მოხდება, თუ გადაწყდება, რომ შენი თხოვნა უნდა განიხილოს სხვა ქვეყანამ?

→ თუ ეს პირველი მოთხოვნაა თავშესაფრის შესახებ დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში, მაშინ შენ გაგზავნიან სხვა ქვეყანაში, რადგანაც იქ იმყოფებიან შენი დედა, მამა, ძმა, და, ნათესავები და იქნები იმათთან ერთად, სანამ განიხილება შენი თხოვნა თავშესაფრის შესახებ.⁴⁾

→ თუ აქ არ მოითხოვე თავშესაფარი, მაგრამ ადრე დუბლინის რეგლამენტის რომელიმე ქვეყანაში ასეთი თხოვნა წარდგენილი გაქვს, მაშინ შესაძლებელია შენ გადაქცენ იმ ქვეყანას, რათა იმ სახელმწიფოს ინსტიტუციამ განიხილოს შენი თხოვნა თავშესაფრის შესახებ.⁵⁾

ორივე შემთხვევაში სხვა ქვეყნისთვის შენი გადაცემის გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება დაჭირდეს ხუთი თვე დაწყებული იმ მომენტიდან, როდესაც მოითხოვე თავშესაფარი, ან იმ მომენტიდან, როდესაც გავიგებთ, რომ სხვა რომელიმე დუბლინის რეგლამენტის ქვეყანაში მოთხოვნილი გაქვს საერთაშორისო დაცვა. ჩვენი ინსტიტუცია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას მოგაწვდის მისი მიღებიდან უმოკლეს ვადაში.

→ თუ შენ არ მოითხოვე თავშესაფარი აქ, ხოლო სხვა სახელმწიფოში შენი მოთხოვნა თავშესაფრის შესახებ უარყოფილ იქნა მას შემდეგ, რაც ის ვრცლად განხილეს, ჩვენ შეგვიძლია გაგზავნოთ თხოვნა შესაბამის ქვეყანაში, რომ მან უკან მიგიღოს, ან დავიწყოთ შენი სამშობლოში, რომელიმე უსაფრთხო მესამე ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში გაგზავნის პროცედურა, რომელშიც მუდმივად ცხოვრობ.

თუ გადაწყვეტ, რომ შენი თხოვნა უნდა განიხილოს სხვა ქვეყანა და ის ქვეყანა დათანხმდა აიღოს შენზე პასუხისმგებლობა, მაშინ მიიღებ ოფიციალურ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ჩვენ არ

4) შეიძლება ამას უწოდონ „პასუხისმგებლობის აღება“.

5) შეიძლება ამას უწოდონ „უკან მიღება/დაბრუნება“.

განვიხილავთ თხოვნას შენთვის
საერთაშორისო დაცვის
მინიჭების შესახებ და
გადაგცემთ პასუხისმგებელ
ქვეყანას.

შენ გადაგცემთ ექვსი თვის
განმავლობაში. ამ ექვსი
თვის ათვლა დაიწყება იმ
მომენტიდან, როდესაც სხვა
სახელმწიფო აიღებს თავის
თავზე პასუხისმგებლობას.
ხოლო თუ არ ეთანხმები ან
მოისურვებ, რომ გასაჩივრო
გადაწყვეტილება (ქვემოთ
მოყვანილია განმარტება,
თუ რას ნიშნავს ეს), მაშინ ამ
ექვსი თვის ათვლა დაიწყება
იმ მომენტიდან, როდესაც
სასამართლო მიიღებს საბოლოო
გადაწყვეტილებას შენს
საჩივართან დაკავშირებით.
ეს ვადები შესაძლებელია
გაგრძელებულ იქნას ერთი
წლით იმ შემთხვევაში, თუ
შენ იქნები პატიმრობაში და
თვრამეტი თვით, თუ გაიქცევი.



©iStockphoto / Joe Gough

რა მოხდება, თუ არ გინდა სხვა ქვეყანაში წასვლა?

ამის შესახებ უთხარი შენს წარმომადგენელს!

თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ უნდა გაგამგზავროთ სხვა ქვეყანაში, რათა შენი თხოვნა იქ იქნას განხილული და შენ ამას ეწინააღმდეგები, გაქვს შესაძლებლობა გაასაჩივრო ეს გადაწყვეტილება. ამ პროცესს ეწოდება გასაჩივრება ან გადახედვა.

ჩვენს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში შეგიძლია წარმოადგინო საჩივარი ვილნიუსის საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ საჩივარი შეიტანო დათქმულ ვადებში. ამის გაკეთებაში მოგეხმარება შენი წარმომადგენელი.

- გაქვს 14 დღე მოითხოვო, რომ შენი გადაცემა დროებით შეჩერდეს, სანამ განიხილება საჩივარი (ასეთი თხოვნა უნდა წარმოადგინო საჩივართან ერთად). სასამართლო ან არბიტრაჟი ასეთ თხოვნაზე გადაწყვეტილებას მიიღებს უმოკლეს ვადებში. თუ შენ უარს გეტვიან გადაყვანის გადადებაზე, გეტყვიან თუ რატომ გითხრეს უარი.
- ბროშურის ბოლოს არის ინფორმაცია იმ ინსტიტუციებზე, რომელთაც უნდა დაუკავშირდე როდესაც გინდა საჩივრის შეიტანა.
- საჩივრის განხილვისას შენ გაქვს იურიდიული დახმარების უფლება, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა გაქვს გამოიყენო თარჯიმნის დახმარება. თუ არ გაქვს ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა, შენ შეგიძლია მოითხოვო, რომ ესეთი დახმარება გაგეწიოს უფასოდ. ბროშურის ბოლოს შეგიძლია მოიძიო ინფორმაცია იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც შეუძლიათ შენთვის იურიდიულ დახმარების გაწევა გასაჩივრების შემთხვევაში.

დაკავება

დაკავებული არის ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია წავიდეს იქ სადაც მოისურვებს და ის მოთავსებულია დაკეტილ შენობაში.

თუ ხარ არასრულწლოვანი გამცილებლის/მეთვალყურის გარეშე, შესაძლებელია ცხოვრობ შენობაში რომელშიც დადგენილია წესი: ღამე ან

მაშინ როდესაც უკვე სიბნელეა, უნდა იყო შენობაში, უნდა გააფრთხილო რომ მიდიხარ და როდის დაბრუნდები ის პიროვნებები, რომლებსაც შენი მოვლა/მეთვალყურეობა ევალება. ეს წესები შენივე უსაფრთხოებისთვისაა. ეს არ ნიშნავს, რომ დაკავებული ხარ.

ბავშვებს თითქმის არასდროს არ აკავებენ!

დაკავებული ხარ თუ არა? რაც შეიძლება სწრაფად კითხე ინსტიტუციის თანამშრომელს, შენს წარმომადგენელს ან მრჩეველს⁶⁾ დაკავებული ხარ თუ არა. შეგიძლია მათთან განიხილო შენი მდგომარეობა და თუ დაკავებული ხარ, შესაძლებლობა გაასაჩივრო გადაწყვეტილება დაკავების შესახებ!

დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას შესაძლებელია, რომ დაკავებული იყო. ხშირ შემთხვევაში ეს ასევე ხდება, თუ ინსტიტუციას არ ჯერა, რომ შენი ასაკი 18 წელზე ნაკლებია, და ფიქრობენ, რომ შეიძლება დაემალო და გაექცე მათ იმიტომ, რომ სხვა ქვეყანაში გაგზავნის შიში გაქვს.

შენ გაქვს უფლება მიიღო წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ ხარ დაკავებული, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაასაჩივრო დაკავების ორდერი. თუ გინდა დაკავების გასაჩივრება, გაქვს იურიდიული დახმარების უფლება. ასე, რომ გაესაუბრე შენს წარმომადგენელს ან იურიდიულ კონსულტანტს თუ რამით უკმაყოფილო ხარო.

თუ შენ დაკავებული ხარ დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას, პროცედურის დროის ჩარჩოები იქნება შემდეგნაირი: შენს მიერ თავშესაფრის შესახებ მოწოდებული თხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში ჩვენ გადაუგზავნით სხვა ქვეყანას თხოვნას აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა შენზე. ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენ გადაუგზავნით

6) მრჩეველი არის პიროვნება, რომელიც ინსტიტუციის მიერ აღიარებულია, როგორც შენი ინტერესების წარმომადგენელი კანონის წინაშე. შენმა წარმომადგენელმა ან/და ინსტიტუციამ უნდა გირჩიონ, გჰირდებოდეს თუ არა ასეთი მრჩეველი, შეგიძლია ასევე ითხოვო, რომ მრჩეველმა მათ კონსულტაცია გაუწიოს. ბუკლეტის ბოლოს არის ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ დაგინიშნონ იურიდიული წარმომადგენლი.

ასეთ თხოვნას, ვალდებულია გაგვეცეს პასუხი წერილის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში. და ბოლოს, თუ შენ კვლავ რჩები პატიმრობაში, მაშინ პსუხისმგებელი ქვეყნის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში შენ უნდა იქნა გადაცემული იმ ქვეყანას.

თუ დაკავებული ხარ და გაასაჩივრებ გადაცემის გადაწყვეტილებას, მაშინ სახელმწიფო ინსტიტუციები არ არიან ვალდებული გაგამგზავრონ სხვა ქვეყანაში ექვსი კვირის განმავლობაში. შენ ინფორმირებული იქნები შენი შესაძლებლობების შესახებ.

თუ ჩვენი მხრიდან თხოვნის გაგზავნის ან შენი გადაცემის ვადები არ არის დაცული, მაშინ დაკავება, რომელიც განხორციელდა დუბლინის რეგლამენტის ფარგლებში სხვა ქვეყნისთვის გადაცემისთვის, შეწყდება. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნება უბრალო ვადები, რომელიც 11 გვერდზე არის მოყვანილი.





რა უფლებებით სარგებლობ, სანამ წყდება საკითხი, თუ რომელი ქვეყანაა შენი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი?

შეგიძლია დარჩე ამ ქვეყანაში, თუ შენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, ხოლო თუ პასუხისმგებელია სხვა ქვეყანა, მაშინ დარჩე იქამდე, სანამ არ იქნები გაგზავნილი იმ ქვეყანაში რომელიც არის პასუხისმგებელი. თუ შენი თავშესაფრის შესახებ თხოვნაზე ეს ქვეყანაა პასუხისმგებელი, მაშინ გაქვს უფლება დარჩეთ აქ სულ მცირე იქამდე, სანამ იქნება მიღებული პირველი გადაწყვეტილება შენს თხოვნასთან დაკავშირებით. ასევე გაქვს უფლება მიიღო მატერიალური დახმარება მაგალითად საკვები, საცხოვრებელი და ა.შ., ასევე პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

შენ მოგეცემა საშუალება წერილობით ან სიტყვიერად მოგვაწოდო ინფორმაცია შენს მდგომარეობაზე და დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებში მყოფი ოჯახის წევრების შესახებ. ეს შეგეძლება გააკეთო შენ მშობლიურ ენაზე ან სხვა იმ ენაზე, რომელსაც კარგად ფლობ (საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით). ასევე მიიღებ სხვა ქვეყანაში შენი გადაცემის გადაწყვეტილების წერილობით კოპიას. ასევე გაქვს უფლება დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართო ან ჩვენ და/ან მიმართო ამ ქვეყანაში დევნილთა საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის ბიუროს.

თქვენი წარმომადგენელი და სახელმწიფო ინსტიტუცია მოგაწვდით უფრო მეტ ინფორმაციას თქვენი უფლებების შესახებ!

რა მოუვა იმ პირად ინფორმაციას, რომელსაც შენ წარმოგვიდგენ და როგორ იქნები დარწმუნებული რომ ის არ იქნება გამოყენებული არასწორად?

დუბლინის რეგლამენტის ქვეყნებმა ის ინფორმაცია, რომელიც შენ გაქვს მოწოდებული, დუბლინის პროცედურის მიმდინარეობისას, შესაძლებელია გაუცვალონ ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რომ შეასრულონ თავისი მოვალეობა დუბლინის რეგლამენტით.

შენ გაქვს უფლება მიწვდომა გქონდეს:

- მონეცემებთან, რომელიც შენთანაა დაკავშირებული. გაქვს უფლება მოითხოვო ამ მონაცემების შესწორება თუ ის არასწორია, ან ამოშლა, თუ ის მუშავდება უკანონოდ;
- იმ ინფორმაციასთან, რომელიც განმარტავს თუ როგორ უნდა მოითხოვო, რომ მონაცემები იქნას შეცვლილი ან წაშლილი. იმ კომპეტენტური ორგანოების საკონტაქტო ინფორმაციასთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შენს მიმართ დუბლინის პროცედურის ჩატარებაზე და ასევე მონეცემთა დაცვის ნაციონალური ინსტიტუციების საკონტაქტო ინფორმაციასთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან განიხილონ განცხადება პირადი მონაცემების დაცვის შესახებ.

ვის მივმართო დახმარებისთვის?

თავშესაფრისა და დუბლინის
პროცედურის შემსრულებელი
ინსტიტუცია/ევროდაკის
მონაცემების მმართველის
საკონტაქტო ინფორმაცია:
შინაგან საქმეთა სამინისტროსთან
არსებული მიგრაციის
დეპარტამენტი
ლ. საპიეგოს ქ. N 1, 10312 ვილნიუსი,
ტელ. +370 5 271 7112
ელ.ფოსტა: md.rastine@vrm.lt
<http://www.migracija.lt>

გამცილებლის/
მეთვალყურის გარეშე
მყოფი არასრულწლოვანის
წარმომადგენელი
ორგანიზაციების
სახელწოდება და მისამართი:
დევნილთა მიმღები ცენტრი
კარალიუს მინდაუგოს ქ. N 18,
55283 იონავოს რაიონი, რუკლა
ტელ. +370 3 497 3377, +370 698 48776
ელ.ფოსტა: centras@rppc.lt
<http://www.rppc.lt>

ბავშვთა დაცვაზე
პასუხისმგებელი
ნაციონალური ინსტიტუციის
საკონტაქტო მონაცემები:
ბავშვთა უფლებების დაცვის
მაკონტროლებელი
დაწესებულება
პლაჩიოს ქ. N 10, 01308 ვილნიუსი

ტელ. +370 5 210 7176
ელ.ფოსტა: vaikams@lrs.lt
<http://vaikams.lrs.lt>

სოციალური დაცვის და შრომის
სამინისტროსთან არსებული
ბავშვთა უფლებების დაცვის და
გაშვილების სახელმწიფო
სამსახური
ა. ვიეულსკიოს ქ. N 13,
03221 ვილნიუსი
ტელ. +370 5 231 0928
ელ.ფოსტა: info@vaikoteises.lt
<http://www.vaikoteises.lt>

ნაციონალური
ზედამხედველობის
ინსტიტუციის მისამართი:
მონაცემთა დაცვის სახელმწიფო
ინსპექცია
ა.იუოზაპავიჩიაუსის ქ. N 6,
09310 ვილნიუსი
ტელ. +370 5 271 2804, +370 5 279 1445
ელ.ფოსტა: ada@ada.lt
<https://www.ada.lt>

გაერო-ს ლტოლვილთა
საკითხების სამმართველოს
ადგილობრივი ბიუროს
საკონტაქტო მონაცემები და ამ
ბიუროს როლი:
ლტოლვილთა საკითხებში
გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის უმაღლესი

კომისრის ბიუროს
წარმომადგენლობა
ლიტვის რესპუბლიკაში
ა. იაკშტოს ქ. N 12, 01105 ვილნიუსი
ტელ: +370 5 2107416
ელ.ფოსტა: kules@unhcr.org
<http://www.unhcr.se/lt/home.html>
გაერო-ს ლტოლვილთა საკითხების
სამმართველო მოგაწვდით
ინფორმაციას და გაგიწევთ
კონსულტაციას თავშესაფრის
პროცედურაზე და დახმარებაზე
რომელიც ხელმისაწვდომია
თავშესაფრის მთხოვნელთათვის და
ლტოლვილებისათვის ლიტვაში.

მსო-ს ადგილობრივი ბიუროს
საკონტაქტო მონაცემები და
მისი როლი:

მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაციის (მსო) ვილნიუსის
ბიურო

ა. იაკშტოს ქ. N 12,
01105 ვილნიუსი
ტელ: +370 5 261 0115
ელ.ფოსტა: iomvilnius@iom.lt
<http://www.iom.lt>

მსო გაგიწევთ დახმარებას
ნებაყოფლობით დაბრუნებაში
არასრულწლოვანის მოთხოვნების
შესაბამისად და უზრუნველყოფს
სახლში უსაფრთხო დაბრუნებას.
ასევე გაეწევა რეინტეგრაციული
დახმარება არასრულწლოვან
ბავშვებს, რომელთაც ეს ესაჭიროება
სამშობლოში.

„წითელი ჯვრის“
ადგილობრივი ოფისის
მისამართი და მისი როლი:
ლიტვის რესპუბლიკის წითელი
ჯვრის საზოგადოება
ა. იოზაპავიჩიაუს ქ. N 10A,
09316 ვილნიუსი
ტელ: +370 5 212 7322, +370 686 30 050
ელ.ფოსტა: info@redcross.lt
<http://www.redcross.lt>
ლიტვის რესპუბლიკის წითელი
ჯვრის საზოგადოება გაგიწევთ
იურიდიულ და ჰუმანიტარულ
დახმარებას, ასევე დაგეხმარებათ
ოჯახის წევრების და ახლობლების
ძებნაში.

ლტოლვილებისთვის,
ბავშვებისთვის დახმარების
გამწევი ორგანიზაციის
საკონტაქტო მონაცემები:
ვილნიუსის
საეპისკოპოსო “Caritas“-ი;
ოდმინიუს ქ. N 12, 01122 ვილნიუსი
ტელ: +370 5 261 1014
ელ.ფოსტა: info@vilnius.caritas.lt
<http://www.vilnius.caritas.lt>

თუ თქვენ გსურთ
გადაწყვეტილების გასაჩივრება
და არ გაქვთ შესაძლებლობა
დაფაროთ იურიდიული
დახმარების ხარჯები, გთხოვთ
მიმართოთ შინაგან საქმეთა
სამინისტროსთან არსებულ
მიგრაციის დეპარტამენტს.

